საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 60 ბ7 16.04. 2021 წ.

MES 9 21 0000364530

16/04/2021

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ

პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებში (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებში) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 24.04.2020 წლის №0346994; 20.02.2021 წლის №140304; 11.02.2021 წლის №93011 და 11.03.2021 წლის N215081 ბრძანებებით განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 06 აპრილის №26(20/21) დადგენილებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, ვბრძანებ:

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში: „მხატვრული ქსოვილები“, „საფინანსო სერვისები“, „საოფისე საქმე“, „ბუღალტრული აღრიცხვა“, „ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება“ განხორციელებული ცვლილებები შეეხოს უკვე ჩარიცხულ და შემდგომი მიღების პროფესიულ სტუდენტებს;
2. საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე“ 2018 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიული სტუდენტების კვალიფიკაციის მინიჭება მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელებამდე განსაზღვრული კვალიფიკაციის მიხედვით;
3. საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე“ განხორციელებული ცვლილებები შეეხოს 2019 წლის საშემოდგომო მიღების ჩარიცხულ და შემდგომი მიღების პროფესიულ სტუდენტებს.

საფუძველი:

ა) სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 24.04.2020 წლის №0346994; 20.02.2021 წლის №140304; 11.02.2021 წლის №93011 და 11.03.2021 წლის N215081 ბრძანებები;
ბ) აკადემიური საბჭოს 2021 წლის 06 აპრილის №26(20/21) დადგენილება "პროფესიულ პროგრამებში ცვლილებების განხორციელების შესახებ"
გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე" ხელმძღვანელის 2021 წლის 14 აპრილის მოხსენებითი ბარათი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
რექტორის მოადგილე
კირთაძე შალვა

პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრი
ხელმძღვანელი
სვანაძე სერგო